ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო, დიდის ქუჩუი, არ გაიცვლების სხვაგანდა

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990 შაბათი 27 ოქტომბერი

№129 (10366)

ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

## ერთადერთი, სწორი არჩევანი

საარჩევნო კამპანია სხვა დროსაც იწვევდა გარკვეულ ინტერესსა და შრომით აქტივობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს თან სდევდა ბევრი მიუღებელი, ყოვლად გაუგებარი ფორმალობანი და ხიყალბე, ერთგვარად მაინც ხდებოდა ძალების საგანგებო მობილიზება, ნაკლოვან მხარეებზე აქცენტების გადატანა და ა. შ. მაგრამ გარდაქმნამ ბევრ მოჩვენებით და ფსევდოსიტუაციებს წერტილი დაუსვა. რაც მთავარია, საფუძველი ჩაეყარა მრავალპარტიულ არჩევნებს, სადაც მაჟორიტარული და პროპორციული პრინციპების მოხმობით იქმნება რეალური წინამძღვრები ნამდვილად სამართლიანი და ობიექტური არჩევანის გასაკეთებლად. ჩვენს ხალხს პირველად ეძლევა საშუალება პრინციპულად გამოხატოს თავისი ნება.

საარჩევნო კამპანია ყოველ ჩვენგანს ავალებს მტკიცედ ვზრუნავდეთ ჩვენი საერთო მამულიშვილური საქმის სიწმინდისათვის. თავის კანონიერ უფლებებში უნდა აღვადგინოთ სხვადასხვა მიზეზთა გამო დეფორმირებული ისეთი ცნებები, როგორიცაა: მოუსყიდველობა, ოპონენტის მოსმენის კულტურა, პოზიციის საჯაროდ გამოხატვის უფლება, მოქალაქეობრივი ღირსების დაცვის გარანტია და ა. შ.

ჩვენი თაობა, ახლად გაჩენილი პოლიტიკური ორგანიზაციები და საზოგადოებები წყვეტენ ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას: აღწევენ არსებული სტრუქტურების გეგმაზომიერ დემონტაჟს, ძლევენ ბიუროკრატიულ - მბრძანებლური სისტემის წლობით ჩამოყალიბებულ არტახებს, რომლებმაც მშრომელი კაცი მიაჩვიეს დუმილს, თვალთმაქცობას, გაუბედაობას. ახლა ბევრი ასეთი ბორკილი აიხსნა საზოგადოებამ, თანმიმდევრულად მკვიდრდება საჯაროობისა და დემოკრატიის მექანიზმები. მაგრამ მიმდინარე მოვლენებს სწორი გაგება სჭირდება. უნდა გვახსოვდეს, რომ დემოკრატია დიალექტიკური კატეგორიაა, და იგი გულისხმობს უფლებამოვალეობათა ერთიანობას. დემოკრატია არამცდა არამც არ ნიშნავს ანარქიას, მაორგანიზებელი საწყისების მოშლას, ქაოტური სიტუაციების დამკვიდრებას, ურთიერთ ქიშპობას და შუღლს. დემოკრატიას სათანადო შეგნება და ცივილიზებულობა სჭირდება, სათანადო ზრდილობა სჭირდება. ეს თვისებები განსაკუთრებით საშურია ამ ეტაპზე, როცა მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას ვესწრაფვით. ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა თითოეულ შრომით კოლექტივში შევინარჩუნოთ სტაბილური მორალური და სოციალური ვითარება. არავის არ მივცეთ საშუალება მოახდინონ მდგომარეობის დესტაბილიზაცია.

ახლანდელ თაობას დრომ დააკისრა უდიდესი მისია: ამრავლოს რიგები ისეთი მოქალაქეებისა, რომ ლებიც სწორად, პროგრესულად აზროვნებენ და გარდაქმნის მარჯვენა ფლანგში იდგებიან. ყოველმა ჩვენგანმა უნდა გაიაროს თვითგანწმენდისა და თვითგანსჯის გზა და ჩვენვე ვეძებოთ პასუხები კითხვებზე: რა გვიშლის ხელს უფრო შევიყვაროთ მიწდობილი საქმე და ერთმანეთი, როგორ შევძლოთ გაერთიანება, ერთ მონოლითურ ძალად შეკვრა. და რაც ყველაზე არსებითია, სამოლოოდ ვაქციოთ ზურგი ყოველგვარ სამრუდ გზებსა და მეთოდებს, რაც წინასაარჩევნო კამპანიებისათვის უცხო როდი იყო აქამდე. დავძლიოთ ეს ავბედითი ტრადიცია, მთელი ეს სამზადისი წარვმართოთ ჭეშმარიტი პოლიტიკური ურთიერთობის, იდეებით პაექრობის, პიროვნული ღირსების დონეზე. მხოლოდ ასე შევძლებთ შევქმნათ ისეთი პირობები, როცა ყოველ მოქალაქეს ექნება საშუალება გააკეთოს ერთადერთი, სწორი არჩევანი.

სწორედ მის არჩევანზე, მის ალღოზეა დამოკიდებული მომავალი საქართველოს ბედი.

ინფორმაცია

## შემოდგომის დღეები სოფლად

მიუხედავად უამინდობისა, რაიონის მხვნელ-მთესველები ყოველ ღონეს ხმარობენ მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. დღეისათვის სამარცვლე სიმინდი გეგმიური 2615 ჰექტარიდან აღებულია 450 ჰექტარზე. სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობამ 30 ცენტნერს გადააჭარბა.

* * *

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში 100 ჰექტარზე დაითესა სამყურა, იონჯა და მდელოსწივანა. ღნიშნულ ბალახებს 350 ჰექტარი დაეთმობა. 000 ჰექტარზე დაითესება შვრია და ბარდა.

* * *

ხშირმა წვიმებმა მინდვრის სხვა სამუშაოებიდან შეაფერხა თივა. დღემდე გეგმიური 4500 ტონიდან დამზადდა 1050 ტონა თივა.

* * *

საკვები ბალახების თიბვა დაამთავრეს პირველებმა შეასრულეს რუხისა და ახალაბასთუმნის კოლმეურნეობებმა და ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის შრომითმა კოლექტივებმა.

## ჩქარი ტემპით

მეთორმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს წარმატებით ასრულებენ კახათის, ნარაზენის, ახალაბასთუმნის, ახალკახათის კოლმეურნეობების, დარჩელის, ანაკლიისა და ორსანტიის მეურნეობების მხვნელ-მთესველები. ისინი ჩქარი ტემპით იღებენ მარცვლეულს, იმარაგებენ ჩალას, თივას და სხვა საკვებს პირუტყვისათვის. სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობამ 30 ცენტნერს გადააჭარბა.

## ივსება ტრანშეები

რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების საკვებმომპოვებელთა ბრიგადების წევრები, რომლებიც იჯარული მეთოდით მუშაობენ, კარგად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

დღემდე გეგმიური 30 ათასი ტონიდან ტრანშეებში ჩადებულია 28 ათასი ტონა სასილოსე მასა.

სილოსის დამზადება უკვე დაამთავრეს ნარაზენის, ახალკახათის, ოდიშის, ნაცატუს, ჩხორიის, ჭითაწყარის, ყულიშკარის კოლმეურნეობების, ანაკლიის, ზედაეწერის, დარჩელისა და სხვა მეურნეობების საკვებმომპოვებელთა ბრიგადებმა.

## საამქრო სტაბილურად მუშაობს

ამ დღეებში საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის" ქაღალდის წარმოების საამქროს მანქანა-დანადგარებს ჩაუტარდათ კაპიტალური რემონტი. ქაღალდის მკეთებელ მანქანაზე გამოიცვალა ცილინდრები, მთლიანად რეკონსტრუქცია გაუკეთდა საქსულე განყოფილებას. შეკეთების შემდეგ მანქანა ნორმალურად ამუშავდა, მაგრამ რამდენიმე დღის მერე მწყობრიდან გამოვიდა ელექტროძრავა, რამაც ოთხი საათით დაარღვია მწყობრი სამუშაო რიტმი.

ოპერატიულად შემდგარმა მერემონტეთა ბრიგადამ უმოკლეს დროში ჩაატარა აღდგენითი სამუშაოები. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს სპეციალისტებმა: სოსო ფარცვანიამ, ნერონ კვიციამ, ვალტერ სიხარულიამ, აკაკი ჭკადუამ და სხვებმა.

ამჟამად საამქრო მთელი დატვირთვით, სტაბილურად მუშაობს. მეფერხების შედეგები თანდათან სწორდება.

ჯ. ყორშია.

## შემჭიდროებულ ვადებში

შემოდგომის ხალვა დღეებია ხოფის ჭითაწყარში (გამგეობის თავმჯდომარე ო. ცაავა). ახლა ის დროა, როცა უდანაკარგოდ უნდა დაბინავდეს მირონსული, დროზე დაიჭიროს თადარიგი მეცხოველეობის ზვნებულიდ გამოზამთრებისათვის.

საკვებწარმოების განზრდის მიზნით ტურნეფსი დაითესა 10 ჰექტარზე, რაფსი—5 ჰექტარზე, 20 ჰექტარი მზადაა შვრიის დასათესად.

მოიმარაგეს 780 ტონა სილოსი, 150 ტონა სენაჟი. მიმდინარეობს სამარცვლე სიმინდის აღება. ერთწლიან კულტურებში დანერგილია იჯარული შრომა (ხელმძღვანელი თემურ ჩახაია). ამ კულტურების მოყვანა-მოყვანის საქმეში იბეჯითებ მექანიზატორმერგოლეებმა რევაზ მესხიმ, გოდერძი არტემენკომ, ნაპო ჯახუამ, გენო ლატარიამ.

საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებს მომზადებული ტექნიკა შეაგებენ (მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი კოხა დარსანია), მექანიკოსმა ელგუჯა ჭიქიამ, ელმემდუღებელმა ოთარ ლატარიამ.

დაიწყო კოლხეთის დაბლობში 110 ჰექტარზე ნათესი სიმინდის აღება, რომლის უდანაკარგოდ დაბინავებაზე მონდომებით მუშაობს მძღოლი ზური ქანთარია.

კოლმეურნეობაში არენდული წესით მუშაობს 7 საწარმოო ბრიგადა. მეჩაიეებმა 1440 ტონის ნაცვლად დაამზადეს 1600 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ბეჯითად იშრომეს მეაბრეშუმეებმა, მებოსტნეებმა.

## დავაჩქაროთ თიბვა!

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში უნდა დამზადდეს 4500 ტონა თივა. სამუშაო აგრეგატებში დაიწყო, მაგრამ ცალკეულმა ბრიგადებმა იგი შეანელეს. შედეგიც არაა სახარბიელო დღემდე მოითიბა მხოლოდ 1800 ტონა ბალახი.

აღნიშნული სამუშაოს შესრულებაში ჩამორჩნენ რიყის, ნაცატუს, „კოლხიდის" ინგირის, კორცხელის და სხვა კოლმეურნეობების ბრიგადები.

დავაჩქაროთ საკვები ბალახების თიბვა-დაზვინვა!

## გამოიწერეთ „ოდიში"

ჩვენი გაზეთის ერთგულო მეგობარო! ჯერ თუ არ გამოგიწერია, ნუ დააყოვნებ, მიაშურე „სოიუზპეჩატის" სააგენტოს და გამოიწერე „ოდიში". გვენდეთ, რომ ხვალ და ზეგ იგი გაცილებით უფრო საინტერესო იქნება. რედაქციის ყოველი მუშაკი ურყევლად იბრძოლებს ჩვენი ცხოვრების ჯანსაღებისათვის, მრავალინდელი საქართველოს ბედნიერებისათვის.

შეგახსენებთ, რომ ნახევარი წლით მისი ფასი 3 მან. 90 კაპიკია, ხოლო ერთი წლით—7 მან. 80 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## თვალსაზრისი

# ერთიანობა — უპირველეს ყოვლისა!

ვინც კი საქართველოს ისტორიაში ჩახედულა, დამეთანხმება: ქართველმა ქართველის გატანა არ იცის. ჩვენთვის მტერს იმდენი არ დაუკლია, რამდენიც ღალატმა და ინტრიგნობა-დასმენამ დაგვაკლო! ოდითგანვე ასე იყო: ერისთავი ლიპარიტობას მიელტვოდა, ლიპარიტი — მეფობას. მეფეებს, ერისთავებსა და ლიპარიტებს შორის შუღლი და მტრობა არასოდეს ცხრებოდა. „საქართველოს ცხოვრების უმთავრეს უბედურებას იმდენად გარეშე მტერი არა, რამდენადაც შინაური, ძმათაშორის ბრძოლა შეადგენდა" (ივ. ჯავახიშვილი). ამასთან დაკავშირებით გულდამწუხრებული დავით გურამიშვილი პოემაში „ქართლის ჭირი", წერდა:

„კახელების ალმა ხნული, ქართლელებმა ძალმა ფარცხეს, უკუღმართმა ხვნა და ფარცხვამ ეს ნაყოფი გამოიღო: მოგვითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოიღო!".

მოკლედ: წარსულში ძმათაშორის შუღლმა, ერთმანეთის გაუტანლობამ ბევრი რამ ავნო საქართველოს.

ძნელდება რაიმე სასიკეთოს მიღწევა, როცა არსებობს უამრავი აზრი და პარტია. ერთი გაფიცვის დაწყებას მოითხოვს, მეორე—გადადებას, მესამე—საერთოდ უარის თქმას, უარყოფას. რათქმა უნდა, შეხედულებათა სხვადასხვაობა ცხოვრებისეულია, მაგრამ აუცილებელია თანხმობამდე მისვლა და მოქმედების ერთიანი გზის გამომუშავება.

როგორც სკაში დედა-ფუტკარი ყველას და ყველაფერს წარმართავს, ხოლო ყველა დანარჩენი თავ-თავის საქმეს აკეთებს, ჩვენც, თითოეულმა, ჩვენ-ჩვენი საქმე მონდომებითა და გულდასმით ვაკეთოთ. ერთიანად დავირაზმოთ, რომ განხორციელდეს ის იდეა და მიზანდასახულობა, რაზეც „ჩუმის ნატვრით ოცნებობდა" და ახლაც აშკარად ოცნებობს თითოეული და ყველა ქართველი.

ქართველები ემოციური ხალხი ვართ. ჩვენს სურვილს უმალ ავყვებით. რაღაცას რომ მოვიფიქრებთ, გვინდა უცბად, მაშინვე მისი ასრულება. დაუშვებელია აზრის ხშირი მერყეობა და ცვალებადობა. საბოლოო მიზნის მისაღწევად საჭიროა გონივრული, აუჩქარებელი, მოფიქრებული მუშაობა-ქმედება.

ძალიან ხშირად ეროვნულს სოციალური ეხლართება, რაც ძნელს ხდის სწორ ქმედებას. საჭიროა და აუცილებელია ერთიანი, საერთო ეროვნული კონცეფციის შემუშავება, რაც, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოგვიხერხებია. რატომ?—ყველას ლიდერობა და პირველობა უნდა—ღირსსა და უღირსს. ისევ და ისევ ჩნდება ქართველის გენში გამჯდარი მეტოქეობა—ქიშპობა. ბოლოს და ბოლოს როდის უნდა მოეღოს ბოლო ტერორს! ეს ხომ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. თითოეულმა და ყველამ უნდა ვიბრძოლოთ ერთიანობისათვის, ეროვნული საქმის საკეთილდღეო მჭიდრო კონსოლიდაციისათვის. მხოლოდ ამ გზით გახდება შესაძლებელი ნანატრი ოცნების ახდენა—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ჯ. როგავა,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

## ქალაქს უნდა დაუბრუნდეს

ერთ დროს რაიკოოპკავშირის წიგნების ცენტრალური საწყობი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა, მაგრამ დროთა ვითარებაში ცენტრალურმა საწყობმა არა ერთი მისამართი გამოიცვალა. პირველად გადაიტანეს სანეპიდსადგურთან, შემდეგ ცაიშში, აქედან—რუხში.

ქალაქში ჩასულ სოფლის სკოლების ბიბლიოთეკარებს, მოსწავლეებს, ისევ სოფელში უხდებათ გადანაცვლება. ტრანსპორტის ძებნაში ეკარგებათ დიდი დრო.

განა დაქირავებული ოთახები ქალაქში არ მოიძებნა (?), სოფელშიც ხომ ნაქირავებში უდგანათ ყოფნა.

საკითხი უნდა მოგვარდეს—ქალაქის ცენტრს უნდა დაუბრუნდეს წიგნის საწყობი. პასუხს ალბათ რაიკოოპკავშირის მესვეურები გაგვცემენ.

ძ. გვილია,
პედაგოგი.

## საზოგადოება და წესრიგი

# მხოლოდ ადამიანზე ზრუნვით

დღეს, მეტად რთული პოლიტიკური და ოპერატიული სიტუაციის დროს უაღრესად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სამართალდამცავი ორგანოები და, კერძოდ მილიცია.

ჩვენი საზოგადოებრიობა დარწმუნდა, რომ ლოიალობისა და დათმობების დრო წავიდა, თუმცა ისიც აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და სრულიადაც არ ნიშნავდა მილიციის სისუსტეს.

ახლა მილიციის წინაშე ორი ამოცანა დგას: პირველი: ხელი შეუწყოს ისეთი საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, რომ მშვიდ, ნორმალურ ატმოსფეროში გაიმართოს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები და მეორე—ოპერატიული მდგომარეობის გაუმჯობესება, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა.

მთელს რაიონში უნდა შეიქმნას დანაშაულის შეუწყნარებლობის ატმოსფერო, რათა გაიმარჯოს კანონმა, არავის ჰქონდეს დაუსჯელობის, უპასუხისმგებლობის თავიდან აცილების იმედი.

ყოველივე ამის მისაღწევად კი მძიმე ჟამს ერთად უნდა იყოს ხალხი და მილიცია.

ბუნებრივია, რომ დღევანდელი ეკონომიკური კრიზისების დროს მოსახლეობა უნდობლობით უყურებს თავის ხელმძღვანელებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს და ხდება მათ შორის წინააღმდეგობების გამწვავება, რაც მიდის დანაშაულობებამდე.

როდესაც სამეურნეო ხელმძღვანელები კარგად იცნობენ თავიანთ სამოქმედო უბანში მცხოვრებ ადამიანებს, მათ საქმიანობას და ზრუნავენ მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მაშინ, დამერწმუნეთ, დანაშაულის ფაქტები მინიმალურია. არა მგონია კმაყოფილი არ დარჩეს ორულუ-ერგეტის მოსახლეობა სოფლისათვის სასიცოცხლო არტერიის —გზის მოასფალტების გამო. წლების მანძილზე მოუწყობელი ერგეტი დაამშვენა საშუალო სკოლის ორსართულიანმა კაპიტალურმა ნაგებობამ, საბავშვო ბაგა-ბაღმა, მშენებლობის პროცესშია სავაჭრო ცენტრი. და ამ კეთილ საქმეთა დაგეგმვებში დიდი წვლილი უდევთ კონკრეტულ პიროვნებებს: სახალხო დეპუტატს, საწარმოო გაერთიანება „საქჩაიმრეწვის" დირექტორს ოთარ ფაცაციას, მეურნეობის მესვეურებს—სოსო ჯოჯუას, ნაპო გაბისონიას, ბაჩუკ იზორიას და სხვებს.

ასეთ პირობებში მე, როგორც მილიციის მუშაკს, მაქვს უფრო მეტი საშუალება ხელი შევუწყო მართლწესრიგის დაცვას, დავიცვა მშრომელი ხალხის სიმშვიდე. როგორც ყველგან, ჩვენს სამოქმედო უბანშიც არიან ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი ადამიანები, რომლებიც უგულებელყოფენ ყველას და ყველაფერს, მაგრამ საზოგადოების, უბნის მოსახლეობის დახმარებით ყოველ ღონეს ვიხმარ გამოვავლინო ისინი.

მურმან ჟორდანია,
შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების უბნის ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი.

## ვეტერანები ითხოვენ

# საზოგადოების საფიქრალი უნდა გახდეს...

გასულ წელს ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს მეორე კონფერენციის მონაწილეებმა ვთხოვეთ რაიონის ხელმძღვანელობას ომის მონაწილეთა და იმში დაღუპულ მეომართა ოჯახების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად გამოეყოთ სასურსათო პროდუქტების და სამრეწველო საქონლის ფონდები, ხოლო საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობას ქალაქის ცენტრში გამოენახა სავაჭრო მაღაზია. მიუხედავად მრავალგზის თხოვნისა, სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ინვალიდთა და მარჩენალდაღუპულ ოჯახთა საბინაო პირობების გაუმჯობესებას. დიდი შეფერხებებია გაზით და ნავთობით მომარაგების საქმეში. ინვალიდები დროულად ვერ ღებულობენ სამკურნალო წამლებს და საგზურებს. სრულად არ კმაყოფილდება მოთხოვნები საცხოვრებელი სახლის სარემონტო მასალებზე, ყურადღება არ ექცევა ომისა და შრომის ვეტერანების სპეციალური ფონდების გამოყოფას მსუბუქ ავტომანქანებზე, საოჯახო ავეჯზე და სხვა იაფფასიან იმპორტულ საქონელზე. ინვალიდთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს ტელეფონი ბინაში, და თუ აქვს, უმრავლესობა საერთოდ არ მუშაობს.

უკანასკნელ პერიოდში აშკარად იგრძნობა ომისა და შრომის ვეტერანებისადმი ზერელე დამოკიდებულება, დაუფარავი ცინიზმი, პიროვნების ღირსების დამამცირებელი არაობიექტურობა და კიდევ ბევრი სხვა... მწარე გულისტკივილს განვიცდით ზოგიერთი ხელმძღვანელის და მოქალაქის გაუკითხაობით.

უნდა გვახსოვდეს: ვეტერანთა [...] ცხოვრების დაცვა ფართო საზოგადოების ღვიძლი საქმეა. კაცთმოყვარეობა მოუწოდებს რაიონის ყველა შრომით კოლექტივს შექმნან ვეტერანთა დახმარების ფონდი.

შ. დოჩია,
ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

# ქართული ხალხური ცეკვის ზეიმი ბათუმში

მიმდინარე წლის 6-7 ოქტომბერს ქ. ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა ქართული ხალხური ქორეოგრაფიული თვითმოქმედი ანსამბლების მეორე რესპუბლიკური ფესტივალი, რომლის მიზანი იყო: ქართული ხალხური ხელოვნების განვითარება, მხატვრულ თვითმოქმედებაში ფართო საზოგადოებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის ჩაბმა, ქართული ხალხური ქორეოგრაფიული შემოქმედების სიწმინდის დაცვა, ხალხური ცეკვების, საუკეთესო ქორეოგრაფიული ანსამბლების გამოცდილების შესწავლა და პროპაგანდა, რეპერტუარის მხატვრული დონის საშემსრულებლო ოსტატობის ამაღლება.

ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად შერჩეული იყო რესპუბლიკის საუკეთესო ანსამბლები. თითოეული ანსამბლი ფესტივალზე უნდა წარმდგარიყო ორი ცეკვით: ერთი თავისი კუთხის დამახასიათებელი და მეორე ნებისმიერი ცეკვით.

ფესტივალში მონაწილე ერთი ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც მოაგროვებდა ქულათა მაქსიმუმს ორი ცეკვის ჯამში, დაიკავებდა პირველ ადგილს, დაჯილდოვდებოდა პირველი ხარისხის დიპლომითა და ფულადი პრემიით 1000 მანეთი. ორი ანსამბლს რომელიც დაიკავებდა მეორე მესამე ადგილს, გადაეცემოდა ორი მეორე ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია 500 მანეთი. ორი მესამე ხარისხის დიპლომი ფულადი პრემიით სამასი მანეთი.

ჟიურის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: საქართველოს სახალხო არტისტი რევაზ ჭოხონელიძე (თავმჯდომარე), ბესარიონ ხვანიძე, მურმან ლომთათიძე, საქართველოს კულტურის სამინისტროს ქორეოგრაფიული ხელოვნების განყოფილების გამგე ბორის მუნჯიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რევაზ ჭანიშვილი, აჭარის დამსახურებული არტისტი თეიმურაზ ბიბილეიშვილი, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის და რესპუბლიკური პრესის წარმომადგენლები.

ზუგდიდის მუსიკალური საზოგადოების გამგეობის ანსამბლი „ჩელა" მაყურებელთა წინაშე წარსდგა ორი ცეკვით. მეგრული ფერხული „ჯანსულოთი" და საზეიმო ცეკვა „შეჯიბრით". ანსამბლის ქორეოგრაფმა ვახტანგ ბულიამ დიდი პროფესიონალური ცოდნით მოამზადა კოლექტივი ფესტივალისათვის, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო. ანსამბლი „ჩელა" გახდა მეორე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი, მიეკუთვნა მესამე ხარისხის დიპლომი და დაჯილდოვდა ფულადი პრემიით—300 მანეთი.

ძალზე სასიხარულო იყო პრიზის მიკუთვნება ანსამბლისათვის, რომელიც დააწესა აჭარის სახელმწიფო მუზეუმმა (კერამიკის დიდი ვაზა), ცეკვაში უძველესი ფოლკლორული ელემენტების გამოყენებისათვის, და იგი დაიმსახურა ჩვენმა ანსამბლმა ცეკვა „ჯანსულოსათვის".

7 ოქტომბერს ჩატარდა დასკვნითი ღონისძიება, გაიმართა საზეიმო კონცერტი, მოხდა გამარჯვებული კოლექტივების დაჯილდოვება. საზეიმო კონცერტის მთლიანი მსვლელობა ჩაწერილ იქნა ტელევიზიის მიერ, რომლის ჩვენება მოხდება საქართველოს ტელევიზიით უახლოეს მომავალში.

თ. მოსია,
მუსიკალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.

## საოლქო საარჩევნო კომისიისაგან

№ 92 კახათის ოლქის დეპუტატობის კანდიდატი ბატონი არნოლდ მიხეილის ძე გეგეჭკორი მოიხსნა დეპუტატობის კანდიდატობიდან თავისი განცხადების საფუძველზე.

№ 92 კახათის ოლქის ამომრჩევლებს ვთხოვთ ბიულეტენში შეტანილ ა. მ. გეგეჭკორის ნომერს ნუ შემოხაზავენ, ვინაიდან ის ბიულეტენი ჩაითვლება გაუქმებულად.

კანდიდატმა მოხსნის განცხადება მოიტანა 24 ოქტომბერს, მაშინ როცა უკვე საარჩევნო ბიულეტენი დაბეჭდილი იყო.

№ 92 კახათის ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. გაგნიძე
მდივანი ნ. ჯვეჯია

ეროვნული ბიბლიოთეკა



იჯარულ შრომას — ფართო გზა!

## მხარდაჭერა — სამომავლო ღონისძიებას

შრომის იჯარულმა ფორმამ ფართოდ მოიკიდა ფეხი ცაიშის მეუნარგიას სახელობის კოლმეურნეობაში.

წელს კოლმეურნეობაში მეჩაიეობის დარგში 50 მკრეფავი მუშაობდა მცირე მექანიზაციით. მოიჯარეებმა 280 ტონა ნედლეული შემატეს კოლმეურნეობას. განსაკუთრებული იყო მოიჯარე ვალერი გეგეჭკორის წვლილი, რომლის ანგარიშზეა 28 ტონამდე ნედლეული. ხარისხობრივმა მაჩვენებელმა 78 პროცენტს მიაღწია.

აღებული მონაცემებიდან ჩანს, რომ დარგში იჯარული შრომა დიდად მომგებიანია, როგორც მკრეფავისათვის, ასევე კოლმეურნეობისათვის. წელს ცაიშელებმა 1300 ტონა ნედლეული მიყიდეს მრეწველობას. ამ დღეებში დაიწყება ლაო ჩაის დამზადება.

იჯარული შრომის სიკეთე მეორე წელია იგემეს საკვებმომპოვებლებმაც, რომელსაც აგრონომი გიორგი პაჭკორია ხელმძღვანელობს. მეცხოველეობა უზრუნველყოფილია ადგილობრივი ყუათიანი საკვებით. მოიჯარეებმა 140 ჰექტარი გაიპიროვნეს. დაამზადეს 250 ტონა სენაჟი, ანუ გეგმიურზე 50 ტონით მეტი. 1100 ტონა სილოსი, გეგმიურზე 100 ტონით მეტი. მწვანე საკვებად მიღებულია 1000 ტონა მასა. 600 ტონა მიყიდა მეზობელ კოლმეურნეობებს. ბოლო სამ წელიწადში მრავალწლიანმა ბალახებმა დაიკავეს 80 ჰექტარი.

იჯარულმა შრომამ განსაკუთრებული შედეგები გამოიღო დაფნის წარმოებაშიც. მოიჯარეებმა 600 ჰექტარამდე დაფნის ფართობი გაინაწილეს და სამმა ბრიგადამ ითავა მისი მოვლა-მოყვანა. ვაჟა ნარუშვილის, ზაურ ფირცხელავასა და გოგი ქირიას ბრიგადებმა უკვე ჩააბარეს 15 ტონამდე ხმელი დაფნა. ჩაბარება გრძელდება. არის გარანტია გეგმიურ 20 ტონას გადააჭარბონ. დაფნის კომბინატი კილოგრამში უხდის კოლმეურნეობას 5,70 მანეთს. კოლმეურნეობა მოიჯარეებს დანახარჯების გათვალისწინებით აძლევს 3,20 მანეთს, კოლმეურნეობას მოგება ურჩება 2,50 მანეთი.

30 ჰექტარზე სოიოს ნათესს საუკეთესო პირი უჩანს, ეს მოიჯარე ნოდარ ჯღარკავას დამსახურებაა. მისი წარმოების გეგმა 43 ტონაა, მოიჯარე კი გაცილებით მეტის მიღებას ითვალისწინებს. მზადაა სოიოს ასაღები კომბაინი და სხვა ტექნიკა.

იჯარული მეთოდით შრომობენ მეღორეობის ფერმაშიც, სადაც უვლიან 10 დედა-ღორს და მის 110 სულ ნამატს.

მეციტრუსეებმაც (ბრიგადირები მიმოზა ხუხუა, გივი კუკავა) გაიპიროვნეს 18 ჰექტარი მოსავლიანი პლანტაციები. ახალგაზრდა პლანტაციებს კი ნუგზარ ჭილია უვლის. მეციტრუსეები მომხმარებლებს პირდებიან 70 ტონა მანდარინს.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ გოგი რევიამ, რომელიც დარწმუნებულია შრომის ამ მეთოდის პერსპექტივაში, დაბეჯითებით განაცხადა, რომ მომავალი წლიდან კოლმეურნეობა მთლიანად გადავა შრომის იჯარულ მეთოდზე.

ბ. ასათიანი.

აქტუალურ თემაზე

## საზრუნავს რა გამოგვილევს

სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ჩვენი მდიდარი ბუნების დაცვა მოითხოვს მცენარეთა მავნებლებთან, დაავადებებთან და სარეველებთან ბრძოლის გააქტიურებას. არ უნდა ვეძებდეთ ყოველთვის გამოსავალს შხამქიმიკატების შესხურებასა და შეფრქვევაში. დროა, მკვეთრად გავაუმჯობესოთ და გავაფართოოთ ბრძოლა ბიოლოგიური და აგროტექნიკური მეთოდებით, რისთვისაც მოწოდებულია ზუგდიდის საწარმოო ბიოლოგიური ლაბორატორია.

ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ აღნიშნული განყოფილებათა გამგეებს და ვთხოვეთ მოეთხროთ იმ სადღეისო ნომერ პირველ ამოცანებზე, რაც თავიდან აგვაცილებს შხამქიმიკატების, პესტიციდების შემცველობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში.

— კრიპტოლემუსის განყოფილების დანიშნულებასა და მისი მუშაობის ეფექტიანობაზე რას ეტყოდით ჩვენს მკითხველებს?

კლარა ფერცვანია (განყოფილების გამგე): ზუგდიდის საწარმოო ბიოლოგიური ლაბორატორია (გამგე აკ. სიჭინავა) დაარსდა 1977 წელს. განყოფილებამ მუშაობა დაიწყო სასარგებლო ხოჭო კრიპტოლემუსის გამოყვანით, რომელსაც ვავრცელებდით ზუგდიდის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში. შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით მავნებლებთან ბრძოლაში სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებსაც, კერძოდ სენაკისა და ხობის რაიონებს.

აღნიშნული ენტომოფაგი გამოიყენება ჩაის, ციტრუსის და ვენახის მავნებლების წინააღმდეგ (წაგრძელებული ბალიშა ცრუფარიანა, ციტრუსის ფქვილისებრი ცრუფარიანა და იმერული ცრუფარიანა).

სასარგებლო ხოჭო კრიპტოლემუსი მრავლდება კარტოფილის ტუბერებზე, სოიოს ნათესებზე, გოგრაზე და სხვა.

ჩვენი ლაბორატორია კრიპტოლემუსს ამრავლებს კარტოფილის ტუბერებზე.

წელს დამუშავებულ იქნა 1120 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, სადაც გაშვებულ იქნა 4200000 ცალი ხოჭო კრიპტოლემუსი.

დამუშავებულ პლანტაციებში ეფექტიანობამ 85-95 პროცენტს მიაღწია.

— როგორ იკვეთება ტრიქოგრამის განყოფილების როლი სახალხო დოვლათის შენარჩუნებისათვის?

სულიკო წიწვა (განყოფილების გამგე): ლაბორატორიაში ტექნოლოგიური პროცესი დროულად იქნა ჩატარებული. შემოტანილ იქნა საჭირო რაოდენობით ქერის მარცვალი. წესრიგში იქნა მოყვანილი მარცვლეულის ჩრჩილის გასამრავლებელი მექანიზებული ხაზი. ტრიქოგრამის გამოყვანა მოხდა მარტსა და აპრილში. სამუშაოს მიმდინარეობის მთელ პერიოდში დაცული იყო ჰიდროთერმული რეჟიმი. ტრიქოგრამით სამჯერად დამუშავებულია 7080 ჰექტარი სამარცვლე სიმინდის და 95 ჰექტარი კომბოსტოს ფართობები ზუგდიდში, გალში, თერჯოლაში, სენაკში, ზესტაფონში, ოჩამჩირისა და ხობის რაიონებში, სადაც გავრცელდა 1403650 ცალი ტრიქოგრამა.

ტრიქოგრამის გაშვება სწარმოებს მავნებლის მეორე თაობის კვერცხდების პერიოდში. რაიონის მეტეოროლოგიური პირობების მიხედვით, სიმინდის ფარვანას მეორე თაობის კვერცხდება იწყება ივლისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში. ტრიქოგრამის გაშვება სწარმოებს იმ ნაკვეთებში, სადაც მავნებლის კვერცხდების რაოდენობა ეკონომიურ ზღვარზე მაღალია. ერთ ჰექტარზე გაშვების ნორმაა 200 ათასი ცალი სამჯერად.

— ბიოლოგიური ლაბორატორიის მუშა-მოსამსახურეებს, — ამბობს მთავარი აგრონომი აზა გახარია, — შეგნებული აქვთ ბიოლოგიური მეთოდების მნიშვნელობა და მაღალკვალიფიციური კადრები წლების განმავლობაში ეწევიან აქტიურ მუშაობას ამ მეთოდის წარმატებით დასანერგავად.

მიმდინარე წელს ნაყოფიერი იყო ჩვენი მუშაობა, მაგრამ საფიქრალი და საზრუნავი კვლავაც ბევრი გვირჩება. ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ჩვენ ზაბიუჯეტო ანგარიშზე ვართ და მომსახურება უფასოა. ამ სიკეთით სარგებლობა ჯერ კიდევ ბევრგან ყურადღების მიღმა რჩება, როდესაც ასე მოჭარბდა შხამქიმიკატებით დამუშავებულ პროდუქტთა საშიშროება. საჭირო და აუცილებელია ლაბორატორიის გადაიარაღება და რაც მთავარია ადგილებზე ენტომოლოგებისათვის თავიანთი ფუნქციების დაკისრება, რომელიც ბევრგან გააუქმეს კიდეც.

ამრიგად ჩვენი მდიდარი ბუნების, მცენარეთა, ნარგაობათა დაცვის ბიოლოგიური მეთოდები გარკვეულ სიტყვას ამბობენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საქმეში.

ზ. აბულაძე.

## საქართველოს ისტორიის სწავლების გასაუმჯობესებლად

მასწავლებელთა დახელოვნების ზუგდიდის ზონალურმა ინსტიტუტმა გასულ თვეში ჩაატარა საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რომელიც გაიარა ქ. ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ზუგდიდის რაიონების 25-მა მასწავლებელმა.

კურსები სათანადო დონეზე ჩატარდა. მსმენელები კმაყოფილი დარჩნენ ინსტიტუტის ისტორიის, გეოგრაფიისა და პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგეების ს. ვეკუას, ვ. ნაჭყებიას და ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის ზ. ქორთუას, მეთოდისტ მ. გოგიას, სამეცნიერო ცენტრის — ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის მუშაკების, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატების: გ. არახამიას, მ. პაჭკორიას, ჯ. ნაჭყებიას, მეცნიერ-თანამშრომლების თ. ქადარიას, ზ. ქორთუას ბ. აკობიას, განათლების განყოფილების მეთოდისტ შ. თოდუას და სხვათა მიერ ჩატარებული ლექციებითა და მეთოდური მითითებებით.

საერთო მოწონება დაიმსახურა კურსების გამგის ს. ვეკუას მიერ წაკითხულმა ლექციამ ქრისტიანული ლიტერატურის მიმოხილვაზე, რომელსაც მსმენელებთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დოცენტი გ. შეყლაშვილი, ზონალური ინსტიტუტის დირექტორი კ. მიქაია.

დიდი ყურადღება მიექცა სიახლეთა დანერგვას საქართველოს ისტორიის სწავლებაში და მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის აქტუალურ საკითხებს.

ა. სიჭინავა,
ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ისევ ეკოლოგიის საკითხებზე

## ჰაერივით გვჭირდება

ტყე ადამიანისათვის მწვანე ფილტვია. მას გაფრთხილება და მოვლა სჭირდება. რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში მწვანე ნარგავებს თვალის ჩინივით უვლიან, ზოგან კი... სამწუხაროდ არად დაგიდებენ წლობით ნაზარდ მწვანე ქარსაფარს და სჭრიან მას საჭიროებისდა მიხედვით, განმკითხავი კი არავინ არის.

ონარიის მეურნეობაში ადგილი ჰქონდა ქარსაფარი ზოლის, (წიწვიანი ხეების) უნებართვოდ ჭრის შემთხვევებს. არადა, რა სამწუხაროა, როცა მათზე არ ვრცელდება რაიმე გამაფრთხილებელი ღონისძიება, ჯარიმები, თუ სხვა.

შემოვიღოთ ჯარიმები, შემოვიღოთ მორალური გაკიცხვები, იქნებ ამით მაინც ვუშველოთ ადრე გაშენებულ ქარსაფარ ზოლებს.

ადამიანური მოვალეობა გვიკარნახებს: შურს ნუ ვიძიებთ ბუნების მიმართ, თორემ იგი ბუმერანგივით მოგვიბრუნდება.

შ. ჩემინავა,
ბუნების ქომაგი.

ერთი საჩივრის გამო

## მოველით კონკრეტულ პასუხს

რედაქციამ ჩიქოვანის ქუჩა №40-2-ის მცხოვრებლის ნაპოლეონ ჯობავას განცხადება ხელმეორედ მიიღო, იგივე შინაარსის, იგივე ახსნა-განმარტებით. პირველი წერილი „სანამდე ასეთი განუკითხაობა?“ დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის 24 ივნისის ნომერში.

მოგვყავს მომჩივანის მეორე განცხადება უცვლელად.

„მოგახსენებთ, რომ ვმუშაობ ზუგდიდის მანქანათმშენებელ ქარხანაში. ვარ შრომის ვეტერანი. ქარხნის საუწყებო ბინაში მცხოვრებლებმა, ჩემმა მეზობლებმა ლოგო ქარჩავამ და არტემ ხუბუამ, ამა წლის გაზაფხულზე ჩემს ბოსტანში ამოძირკვეს ჩემს მიერ გაშენებული ხეხილის ნარგავები, გაარღვიეს ღობე და აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დადგეს მანქანების დასაყენებელი გარაჟები.

ზემოაღნიშნულზე განცხადებით მივმართე საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომელმაც ჩემი საჩივარი გადაუგზავნა ქალაქის არქიტექტორს, მან გადააგზავნა ქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, განყოფილებამ დააწერა უბნის რწმუნებულს, ხოლო ეს უკანასკნელი კი ისევ მაგზავნის შინაგან საქმეთა განყოფილებაში და ასე შემდეგ... და ასე შემდეგ..

თქვენი გაზეთის ფურცლებზე დაწერილ ჩემს საჩივარს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

მიმდინარე წლის 12 სექტემბრის წერილით შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ხელმძღვანელობა მატყობინებს, რომ აღნიშნულ ფაქტზე შექმნილია საალრიცხვო პროფილაქტიკური საქმე დანაშაულებრივი ქმედობის ასაცილებლად..

დანაშაულებრივი ქმედობა უკ- მე მიმდინარე წლის გაზაფხულზე იქნა ჩადენილი გ. ქარჩავასა და ა. ხუბუას მიერ, ხოლო მათ მიმართ დღემდის არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული.

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის მახვილი კალმით, გამოაქვეყნოთ სტატია აღნიშნულ საკითხზე, რათა ბოლოს და ბოლოს დაესვას წერტილი ასეთ განუკითხაობას სხვადასხვა ინსტანციების მიერ“.

რედაქციისაგან: შევახსენებთ სათანადო ორგანოებს, რომელთაც დაეწერათ საჩივარი, რომ წერილის უკან ადამიანი დგას, რედაქცია მომჩივანთან ერთად მოელის კონკრეტულ პასუხს.

# არ შევანელოთ ტემპი

ჩვენი საუბარი ამჯერად ქალაქისა და რაიონის სოფლების, ქუჩებისა და შარა-გზების კეთილმოწყობის საკითხებს შეეხება.

ყველამ კარგად ვიცით, რომ უკანასკნელ წლებში შესუსტდა ყურადღება ამ პირველხარისხოვანი სახალხო და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმისადმი. შედეგად ამისა სერიოზულად დაზიანდა ქალაქის ქუჩები, რაიონის მაგისტრალური და სასოფლო გზები, რამაც გააძნელა სატრანსპორტო სამსახური, ზოგან შეიქმნა მძიმე სატრანსპორტო შემთხვევათა ხელშემწყობი პირობებიც.

ქუჩებისა და შარა-გზების აღდგენა-მშენებლობა, კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება ხშირად საჭიროების მიხედვით არ იგეგმება და ამის ახსნისთვის იმიზეზებდნენ სახსრების უკმარისობას, საჭირო მასალების უქონლობას, ტექნიკურ სიძნელეებს, მაგრამ როგორც ჩანს ყოველივე ეს იმდენი დაბრკოლება არ აღმოჩნდა, რამდენიც მონდომების დეფიციტი ამ საქმეში. სადაც მონდომება და ენთუზიაზმია, იქ საშუალებაც ყოველთვის გამოინახება, რაც ცხოვრებისეული ჭეშმარიტებაა. ერთი სიტყვით მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

საუბარი რომ არ გაგვიგრძელდეს პირდაპირ ვიტყვით, — მიმდინარე წელს ნამდვილად ეფექტური ღონისძიებანი დაისახა და ენერგიული ტემპით წარიმართა ქალაქისა და სოფლის ქუჩებისა და გზების წესრიგში მოყვანის სამუშაოები. ამაზე ციფრებიც მეტყველებს.

ზუგდიდის საგზაო სამმართველომ საკუთარი ძალებით მიმდინარე წლის 9 თვეში დააგო ასფალტობეტონი 8,5 კილომეტრზე და შეასრულა 266,4 ათასი მანეთის სამუშაო. ეს ეხება ზუგდიდ-ჯიხაშკარის, ყულიშკარ გრიგოლიშის, ინგირის, ზუგდიდ-ნარაზენის, დარჩელ-ორსანტიის, ინგირი-შამგონის გზებს.

საიჯარო წესით ასფალტობეტონი რაიონის გზებზე დაგებულია 30 კილომეტრზე მეტი. ეს მოხდა ზუგდიდ-ნარაზენის, ხეცერა-აბასთუმნის, ცაიშიოქტომბრის, ცაიშ-დიდინეძის, ორულუ-ერგეტის, დარჩელ-განმუხურის, ახალსოფელ-უჩაშონას, კიროვი-ერგეტის გზებზე.

საგზაო მშენებლობაში აქტიურად ჩაებნენ სამშენებლო კოოპერატივები („კომპლექსი", „ვირაჟი") და ორგანიზაციები („კოლხიდმშენი", ხობის საგზაო სამშენებლო სამმართველო), უნდა აღინიშნოს „საქგაზის" ზუგდიდის სამმართველოს აქტიურობა, რომელმაც განმუხურში 5 კილომეტრამდე გზის მოასფალტება მოახდინა. ნარაზენის გზის მიმდებარე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წილობრივი მონაწილეობა მიიღეს მაგისტრალური გზის ასფალტირებაში. აქ მუშაობა გრძელდება.

ხოლო ერთად მიმდინარე წელს რაიონის გზებზე გახარჯულია 1,5 მილიონ მანეთზე მეტი და ნაცვლად ზარშანდელი 9.5 კილომეტრისა, ასფალტობეტონი დაგებულია 47,9 კილომეტრზე. ეს ციფრი მეტყველებს საგზაო მშენებლობის ტემპის ზრდაზე, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

უნდა დასრულდეს ნარაზენის და კორცხელი-ოდიშის გზების მშენებლობა, აგრეთვე გაგრძელდეს სამუშაოები ზუგდიდ-ხეცერა-აბასთუმნის გზაზე; უნდა დავიწყოთ ცაიშ-ურთის გზის ასფალტირება და სხვა. ზოგან ყურადღება არ ექცევა შიდა სასოფლო-საუბნო გზების წესრიგში მოყვანას.

ახლა გადავხედოთ ვითარებას ქალაქში.

ხანგრძლივი ექსპლოატაციისა და ბევრგან უხარისხოდ შესრულებული სამუშაოთა გამო დაზიანდა ქალაქის არაერთი ქუჩა. რაც შეეხება იმას, რომ წყალგაყვანილობის, კანალიზაციისა და გაზიფიკაციის გამო დავჩეხეთ ქუჩები, ავატალახიანეთ იგი, ორმოები დროზე არ ამოვავსეთ და აღდგენითი სამუშაოები დავაგვიანეთ. ამან სიძნელეები და უკმაყოფილება შექმნა, დაირღვა სატრანსპორტო მომსახურება და სხვა.

1989 წელს ქალაქში აღდგენილ იქნა მთელი რიგი ქუჩები და გაიხარჯა 200 ათას მანეთამდე. 1990 წლის 9 თვეში ასფალტობეტონი დაგებულ იქნა 76.6 ათას კვ. მეტრ ფართზე, რაც შარშანდელ წლიურსაც დიდად ჭარბობს და გაიხარჯა 300 ათას მანეთზე მეტი. წელს მთლიანად მოასფალტებულ იქნა თავისუფლების, წმინდა ნინოს, დავით აღმაშენებლის, წმინდა გიორგის, გიორგი ჭყონდიდელის, საბჭოს, პარიზის კომუნის, ცაიშელის, დადიანის, ნინოშვილის, ტოლსტოის, პიონერის და სხვა ქუჩები და შესახვევები, რკინიგზის სადგურისა და ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიები. ამჟამად ასფალტო-ბეტონის დაგებას მოითხოვენ ისეთი ცენტრალური ქუჩები, როგორიცაა გორკის, ბაქოს, მარქსის, ლერმონტოვის და მთელი რიგი სხვა ქუჩები, რომელთა ნაწილის წესრიგში მოყვანა წლის დამთავრებამდეა გათვალისწინებული.

ქალაქის საგზაო მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ: ენგურჰესის სამოქალაქო მშენებლობის სამმართველო (ო. ომიაძე), საქმიდროენერგომშენის, საგზაო მშენებლობის ტრესტის სამმართველო (ზ. ძოწენიძე), სამშენებლო ტრესტ №12-ის კოოპერატივი (რ. მალანია), კოოპერატივი „კომპლექსი" (ვ. ქარდავა), კოოპერატივი „კვარცი" (ნ. შენგელია), კომუნალური განყოფილების სარემონტო სამშენებლო სამმართველო.

საბინაო-კომუნალური განყოფილების სახსრები ქუჩებისა და საერთოდ ქალაქის კეთილმოწყობისათვის (440 ათასი მან.) სრულიად არასაკმარისია, მაგრამ ქალაქისა და რაიონის მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა საგრძნობი თანხები გამოყვეს ამ დანიშნულებისათვის. ენგურქაღალდკომბინატმა 200 ათ. მანეთი გაიღო, ექსპერიმენტალურმა ჩაის ფაბრიკამ —50 ათასი, ჩაის კომბინატმა —60 ათასი, ზუგდიდუგაზმა —40 ათასი, ფაიფურის ქარხანამ—35 ათასი, ინგირის აგროსამრეწველო კომბინატმა—30 ათასი, ყრუ-მუნჯთა საზოგადოებამ —35 ათასი. თანხები გადარიცხეს აგრეთვე სარემონტო-მექანიკურმა კომბინატმა, ახალსოფლის ჩაის ფაბრიკამ, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ, ყველსარაქის ქარხანამ, საკონსერვო ქარხანამ, ღვინისა და ხილეული წყლების კომბინატმა და სხვებმა.

საქალაქო ცხოვრების წესების დამრღვევნი რომ სცოდავენ თავქარია, მაგრამ ჩვენ და ქუჩის კომიტეტები რომ ამ დარღვევებს ხშირად გვერდს ვუვლით და მის წინააღმდეგ ბრძოლას მხოლოდ ქალაქის ადმინისტრაციას ვაკისრებთ, არა მგონია მართებული იყოს. ქალაქის ცენტრში ზოგიერთ წარმოება-დაწესებულების წინ მწვანე საფარი და ნარგავები ფუჭდება და მოუვლელია, რა იქნება ამას მივხედოთ, სანამ მის აღსადგენად კომუნალურ სამსახურს მოვუხმობდეთ. მწვავე პრობლემად გადაიხადა ქალაქიდან ნაგავნარჩენის გატანა, რაც დაუყოვნებლივ მოსაგვარებელია.

ჩვენი ზუგდიდი შესანიშნავი ქალაქია—ამას ყველა ამბობს—მასპინძელიც და სტუმარიც. მისი ქუჩა-მოედნების მოვლისა და კეთილმოწყობისათვის ერთიანი ძალისხმევით უნდა ვიზრუნოთ.

**მამანტი ბაჭკორია.**

შრომის ვეტერანი, გაზეთ „ოდიშის" რედაქციის შტატგარეშე თანამშრომელი.

---

# ს. დ. კუკავა

რაიონის სახალხო განათლების მუშაკთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა ღვაწლმოსილი მუშაკი, ახალგაზრდა თაობის გულმხურვალე მრჩეველი, უანგარო მეგობარი და აღმზრდელი, რესპუბლიკის სახალხო განათლების წარჩინებული, ცაცხვის საშუალო სკოლის დირექტორი სოკრატ დივანის ძე კუკავა.

ს. დ. კუკავა დაიბადა 1919 წელს ზუგდიდის მაზრის სოფ. ხეთაში. არასრული განათლება მიიღო ცაიშის საშუალო სკოლაში. 1938 წელს ფრიადი წარმატებით დაამთავრა ზუგდიდის პედაგოგიური სასწავლებელი და იმავე წელს მასწავლებლობა დაიწყო ცაცხვის არასრულ საშუალო სკოლაში. სწავლამოწყურებული ყმაწვილი კაცი პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად დამოუკიდებლად იღრმავებდა ცოდნას და ოცნებობდა უმაღლესი განათლების მიღებაზე, სურდა მეტი სარგებლობა მოეტანა თავისი მშობლიური ხალხისათვის. დასახული მიზნისაკენ მისი სწრაფვა დროებით სამამულო ომმა შეაფერხა, რომელმაც ს. კუკავას სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფს მოუსწრო.

ომის დაწყებიდან მის ძლევამოსილად დამთავრებამდე იგი ფრონტის წინახაზზე იბრძოდა. იყო ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე. ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო მედლებით, მიღებული აქვს უმაღლესი მთავარსარდლის მადლობები.

ს. კუკავა 1946 წელს ვალმოხდილი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. 1947 წელს დაამთავრა ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტი, ხოლო 1953 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

1954 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე მუშაობდა ზუგდიდის რაიონის ცაცხვის საშუალო სკოლის დირექტორად. იგი იყო სასოფლო საბჭოს უცვლელი დეპუტატი და აღმასკომის წევრი.

ს. კუკავას ჭეშმარიტი კეთილშობილებისა და კაცური ღვაწლის ნათელი მარად ჩაკლავს მისი მეგობრების, აღმზრდელებისა და ამხანაგების ხსოვნაში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

---

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ცხონდია.**

---

შვილი თინა კვირკველია, ძმისშვილები: ბუკა, გუჯუ კეიდიები, ბიძაშვილები შოთა კვირკველია, სარა ჩილაჩავა, რძლები: ლამარა ქვანია, მედიკო კვარაცხელია, ნორა მაქაცარია, შუქი ჯაბუა, სიძე ოთარ ჯლარკავა, შვილიშვილები: მაკა, ნონა, ნანა, კახა, ზაზა, გოგა, ბესიკი, ძმისშვილიშვილები: თინა, ციცა, პავლიკა, ზვიადი კვირკველიები, ბესო კეიდია იუწყებიან
**მარო (ძაბიკო) გიორგის ასულ კვირკველიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 ოქტომბერს. დაკრძალვა 30 ოქტომბერს 4 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, გამარჯვების ქ. 70.

---

ავეჯის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან
**ჯუმბერ დომენტის ძე ქანთარიას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი თინა, სიძე ოთარ ჯლარკავა შვილებით: ნონა, ნანა, ბესიკით იუწყებიან
**მარო (ძაბიკო) გიორგის ასულ კვირკველიას**
გარდაცვალებას.

---

ურთის საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება
**სოკრატ დივანის ძე კუკავას**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

დიდინეძის საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება
**სოკრატ დივანის ძე კუკავას**
გარდაცვალებას.

---

ცაიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება
**სოკრატ დივანის ძე კუკავას**
გარდაცვალებას.

---

მეუღლე გულისა, შვილები გულვერი, მაყვალა, შვილიშვილები: მანუჩარ, მალხაზ, ლორიტა, დათო, დები ანტისა, ლიუცია ეეკუები, ქენია ლგებუაძე, ძმები: იროდი, არტემი, რძლები: მარინა გამსახურდია, ნათელა კონჯარია, ვენერა ქირია, დისშვილები: ციცორი ფიფია, დოდო, ნარგიზა, მზევინარი, დალი, ცოური, ნანი, ზურაბი წყარონიები, ძმისშვილები: ნუგზარი, შარმაზი, მურმანი, რუბენი, იამზე, თინიკო, მზევინარი ეეკუები, სიძეები: მიშა წყარონია, მურმან ბულია, მზახლები: ქვათა ბულია, კარლო გამსახურდია, ბიძაშვილები: ბესარიონი, დავითი, ლავრენტი, დამიანე პუჭატია, ვარდიშა ეეკუები, დედიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**მიშა (მიშიკო) ტაგუს ძე ეეკუას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 ოქტომბერს. დაკრძალვა 30 ოქტომბერს რიყეში.

---

დედა თებრო, მეუღლე ნონა, შვილები: ნატო, ნანა, ნანი, ალექსანდრე, ალიკა, და ნონი, მაზიდები: ზინა, ქენია, დისშვილები ნუგზარი, ინგა, მამუკა ბაგათელიები, სიძე გურამი ბაგათელია, ბიძაშვილები, ჭიჭიკო, ლიუცია, ჟუჟა, ლამარა, ციალა, სოსო შენგელიები, მამიდაშვილები: ქვათი, ლიანა, გიგლა გაბრავები, ნარგიზა მორგოშია, სიმამრი არისტრახო, სიდედრი ვალია, ცოლისძმა თორნიკე, ცოლისდა ნათელა ლოგუები, ქვისლი ომისტერი შენგელია, ახლო ნათესავები იუწყებიან
**კარლო ალექსანდრეს ძე კვარაცხელიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 ოქტომბერს. დაკრძალვა 30 ოქტომბერს სოფელ ერგეტაში.

---

მეუღლე ციცა, შვილები: ჯემალი, მურთაზი, ლერი, დები: ძაბა, რაისა, ვარდიკო, კაკა, ძმა იროდი, შვილიშვილები: ლალი, ცირა, მაკა, ინა, ლიკა, გიგა ცხადაიები, ნინო, რატი ქობალიები, რძლები ჟუნა, ნათელა, ლუბა, ლილა, სიძეები: ერა ქარჩავა, გოჩა ქობალია, ცოლისდები: ჰუტა, ნუნუ, ლილუ, ქვისლები: ხარიტონ ცანავა, ჟორა სახურია, მზახლები: რუსია, ვალია ლემონჯავები, დისშვილები, ძმისშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**აკაკი (პიჭკუტი) ლეონტის ძე ცხადაიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 ოქტომბერს. დაკრძალვა 30 ოქტომბერს სოფელ ცაცხვში.

---

შვილები: ნელი, ლუიზა ბოკუჩავები, რძლები ნათელა სვანიძე, აზა ღურწკაია, ეთერი ხასაია, ამალია ფიფია, შვილიშვილები: ნონა, ნანი ბოკუჩავები, მურთაზი, იზო თირქიები, თამუნა, ხათუნა, ოთარი კვარაცხელიები, სიძეები: არისტრახო თირქია, ვაჟა კვარაცხელია, გულადი ბუკია, მურთაზი არნანია, თორნიკე ჩილაჩავა, დისშვილი რეზო ლაჭავა, ძმისშვილი ეთერი ნაჭყებია, მულიშვილები: ციალა კვარაცხელია, გივი ანთელავა, მაზლიშვილები: ტუტუ, ელე, ნათელა ბოკუჩავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**თამარა კოწიას ასული ნაჭყებია-ბოკუჩავა.**
პანაშვიდი 27, 28 ოქტომბერს, დაკრძალვა 30 ოქტომბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, საბჭოს ქ. 16-დან.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-21-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 22000 შეკ. №4687